პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 178 (19614) ◆ სამშაბათი, 29 ივლისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შრომითი ქრონიკა

ავლენენ დამატებით რეზერვებს

ზესტაფონი. (საქ. კორ.). ზესტაფონის „ელექტროელემენტის“ ქარხნის კოლექტივი ფართოდ ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში დევიზით: „ხუთწლედის ორი წლის დავალება — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის“.

კოლექტივში გამოავლინეს დამატებითი რეზერვები და შეაძლებლობანი, დაძლიეს სიძნელეები, გააანალიზეს ქარხნის პერსპექტივები, აღმოფხვრეს ფორმალიზმი შრომითს მეტოქეობაში და შედეგმაც არ დააყოვნა. მან გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის როგორც გამოშვების, ისე მისი რეალიზაციის ნახევარი წლის დავალებები.

აღნიშნული წარმატებები ბევრად არის განპირობებული იმით, რომ ქარხანაში დიდი ყურადღება ეთმობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

სადღეისოდ ქარხანაში დამონტაჟებულია და მუშაობს პროგრამული მართვის ორი სახარატო და ორი საღარავი ჩარხი.

სულ ახლახან აქ გამოუშვეს საწარმოო დანიშნულების ახალი ტიპის პროდუქციის პირველი საცდელი პარტია, რომელიც გამოიცადა და მისმა ტექნიკურმა რეჟიმმა საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა. მალე ქარხანაში ამ სერიის კიდევ ერთ ახალი ტიპის პროდუქციას აითვისებენ.

საწარმოში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ავანგარდში არიან კომუნისტები გ. თუთბერიძე, ნ. წითელაშვილი, ზ. ალანდაძე, მ. მაჭავარიანი, გ. ნებიერიძე, გ. კვეტენაძე, ლ. ფანინაკიძე, ნ. ქიოკაძე და სხვები.

ვ. ზარიძაძე.

ტალახმა შეაფერხა შესრულებული

ქალაქ ტყიბულის ზონის მშრომელებმა 18 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ყურკოვანი ხილის დამზადების მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის საგეგმო დავალება. 1850 ტონის ნაცვლად საბელმწიფოს მიეყიდა 2.000 ტონა ყურკოვანი ხილი. ამასთან, გადაჭარბებით შესრულდა საკავშირო ფონდში მისი გაგზავნის დავალება.

ყურკოვანი ხილის დამზადება გრძელდება.

(„კომუნისტის“ კორ.).

სამშობლოს ჯილდო — ქალაქის დროშაზე

სურათზე: ჯილდოს გადაცემის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ვლადივოსტოკი, 28 ივლისი. (საკდესი). მიაღწიონ მკვეთრ გარდატეხას უკეთესობისაკენ, დაძლიონ ყოველივე, რაც ხელს უშლის წინსვლაში, — ასეთია საბჭოთა ზღვისპირეთის მშრომელთა განწყობილება. ისე, როგორც მთელმა ქვეყანამ, მათ დაიწყეს გარდაქმნა, რომლის შედეგებზეც დამოკიდებულია პარტიის XXVII ყრილობის სოციალურ-ეკონომიკური კურსის ზუსტი განხორციელება, ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და 1986 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა რეალიზაცია.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ქალაქის მშრომელთა მიერ მიღწეული წარმატებებისათვის და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკის განვითარებაში მათი დიდი წვლილის აღსანიშნავად ვლადივოსტოკი დაჯილდოდა ლენინის ორდენით.

დღეს დრამატულ თეატრში შეიკრიბნენ ისინი, ვისი შრომითი ინიციატივა, მაღალი საშემსრულებლო დისციპლინა სამაგალითოა ბევრისათვის. პრეზიდიუმში არიან ქალაქის წარჩინებული ადამიანები, საუკეთესო წარმოების მუშაკები, ნოვატორები, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი, სკკპ სამხარეო და საქალაქო კომიტეტების ბიუროების წევრები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, მხედართმთავრები. აქვე არიან კორეის სახალხო არმიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი ადმირალი კიმ ირ ჩხოლი, ხომალდების რაზმი მისი მეთაურობით ვლადივოსტოკში იმყოფება მეგობრულ ვიზიტად.

ქალაქის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა საზეიმო კრება გახსნა სკკპ ვლადივოსტოკის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. თ. ბესპალოვმა.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს. მან განაცხადა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქალაქი ვლადივოსტოკი დაჯილდოდა ლენინის ორდენით, და სამშობლოს საპატიო ჯილდო ქალაქის დროშას მიაბნეს.

სიტყვა, რომელიც წარმოთქვა მ. ს. გორბაჩოვმა, დიდი ყურადღებით მოისმინეს და დიდხანს გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

— ვამაყობ, რომ ვლადივოსტოკელთა შრომის მაღალ შეფასებაში მნიშვნელოვანია მებადურთა წვლილი, — თქვა ბაზის „ვლადივოსტოკის მებადურის“ მუშამ, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატმა ნ. პ. გაროშინამ. მან ილაპარაკა წარმოების ზრდისთვის გაჩაღებულ შეჯიბრებაზე. ერთ-ერთი მთავარი რეზერვი, რომელსაც მცურავ ქარხნებში იყენებენ, მოწყობილობის მოდერნიზაციაა. ეს საშუალებას გვაძლევს რაციონალურად გამოვიყენოთ ნედლეული, სტაბილურად უზრუნველყოფს პროდუქციის კარგ ხარისხს.

— ასრულებენ რა მორიგ რთულ ამოცანას, შორეულაღმოსავლელი მეზღვაურები მუდამ ფიქრობენ: განა არ შეიძლებოდა უკეთ გვემუშავა, და აანალიზებენ ნაკლოვანებებს, თქვა ყინულმჭრელ „ადმირალ მაკაროვის“ კაპიტანმა ვ. ი. აბონოსიმოვმა. — ასე ვავლენთ ახალ შესაძლებლობებს. მზად ვართ დამატებითი კაპიტალური დაბანდებების გარეშე გავზარდოთ ბამის ტვირთის გადამუშავება. საქმე ეხება მილიონობით ტონა ქვანახშირს, ხე-ტყეს, ნაფოტს, დიდძალ კონტეინერებს.

კრებაზე გამოვიდნენ პარტიის ვლადივოსტოკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. თ. ბესპალოვი, საზღვაო მფრინავი, „საბჭოთა კავშირის გმირი ი. ი. ჩურილოვი, სკკპ ზღვისპირეთის საბჭოთა კომიტეტის პირველი მდივანი დ. ნ. გაგაროვი.

წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი ვლადივოსტოკის მშრომელებმა პირობა დადეს, რომ დააჩქარებენ მხარის კომპლექსური განვითარების ტემპს.

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

ვლადივოსტოკისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდი ხანია ვაპირებდი შორეულ აღმოსავლეთში ჩამოსვლას. და საქმე მხოლოდ ის როდია, რომ ადამიანს იზიდავს მხარეები, სადაც იგი არ ყოფილა, ინტერესი იმისადმი, რაც ჯერ არ უნახავს. თქვენი უზარმაზარი და მშვენიერი მხარის „მეგობარ“ გაუცნობლად სრული ვერ იქნება თვით წარმოდგენა სამშობლოზე, მის ისტორიაზე, დღევანდელობასა და მომავალზე.

შორეული აღმოსავლეთი ჩვენს შეგნებაში ყოველთვის უკავშირდება საბჭოთის თვალუწვდენელ სივრცეებს — ბალტიკიდან და შავი ზღვიდან წყნარ ოკეანემდე, იმ ადამიანებს ვაჟკაცობას, შრომისმოყვარეობასა და სიმტკიცეს, რომლებიც სახლდებოდნენ აქ და იცავდნენ ამ მიწა-წყალს, დღევანდელი საქმეების სიახლეს და მაშტაბურობას. ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა განსაკუთრებული სითბოთი უწოდა ვლადივოსტოკს „ჩვენებური“ ქალაქი.

ხალხის ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება ჩვენი თანამემამულეების — პირველმკვლევლების გმირობა, რომლებმაც გაკვალეს გზა წყნარ ოკეანისაკენ. არასოდეს დაგვავიწყდება სპასკის იერიშის ღამეები და ვოლოჩაევსკის დღეები, მხარის ენერგიული ათვისება პირველი ხუთწლედების წლებში, მესაზღვრეთა მხედრული შრომა ჩვენთვის ამ წმიდათაწმინდა მიჯნებზე. მარად ემახსოვრება ხალხს შორეული აღმოსავლეთის დივიზიებისა და წყნარი ოკეანის მეზღვაურების მამაცობა და ვაჟკაცობა, რომლებიც იბრძოდნენ მოსკოვთან და ზტალინგრადთან, მეორე მსოფლიო ომის ბოლო ბრძოლებში აღმოსავლეთში.

ისტორია უსახელო როდია. შორეული აღმოსავლეთი — ეს არის დეჟნიოვის, ხაბაროვის, ნეველსკის ვაჟკაცური სახეები. შორეული აღმოსავლეთი — ეს არის ლაზოსა და პოსტიშევის, სუხანოვისა და ძმები სიბირცევების, ბონ ივურისა და ჩასოვტინის, ბლიუხერისა და უბორევიჩის სამზეო სახელები. იმათ შორის, ვინც დღეს თავისი მაგალითით აღფრთოვანებს სხვებს, მინდა დავასახელო პარტიის ვეტერანი, სამოქალაქო ომის მონაწილე ივანე ანდრიას ძე ჩუბრინინი, თევზის სარეწი გემების კაპიტანი, სოციალისტური შრომის გმირი იური პეტრეს ძე ვოლკოვი, გემის კორპუსთა მშენებლების ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ანატოლი ანდრიას ძე ბელოვი, მომპირკეთებელთა ბრიგადირი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი გალინა ვლადიმერის ასული მერკულოვა, სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დუბინინი.

შორეული აღმოსავლეთის მხარე, რომელსაც ხოტბა შეასხეს არსენიევმა და ფადეევმა, ყოველთვის იყო და დარჩება საბჭოთა ადამიანისათვის ანლობელ მხარედ. და მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა ჩამოვსულიყავი ზღვისპირეთში, გავცნობოდი თქვენს ცხოვრებას და შრომას, იმას, რაც კეთდება ამ მიწა-წყალზე დღეს და რაც გაკეთდება ხვალ. მით უმეტეს, რომ შორეულ აღმოსავლეთს, ისევე როგორც ციმბირს, სკკპ XXVII ყრილობის მიერ განსაზღვრულ გეგმებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა.

ამ დღეებში ბევრი საქმიანი და საინტერესო შეხვედრა მქონდა — გეტყვით: გვიჭირს ახლა. ჩვენ ხომ ცოტა არ იყოს მოვდუნდით, მოვეშვით. ნუ მიწყენთ ამ სიტყვების გამო, ეს ყველს ეხება. აი ხელი მოვკიდეთ წესრიგის დამყარებას, და საქმეები უკვე იგრძნობა.

ხოლო თუ ჩვენ ნამდვილად დავეუფლებით სიტუაციას, საქმე რიგიანად წავა. საფუძვლიანად დავამუშავეთ გეგმა, ჩვენთვის ცხადია, საიი უნდა წავიდეთ. და ეს ძალზე ბევრს ნიშნავს, რომ არ შევცდეთ პოლიტიკაში. ყველაზე ძვირად პოლიტიკური შეცდომები გვიჯდება. ისინი ეკონომიკაზეც მოქმედებს და განწყობილებებზეც, მთელ საზოგადოებაზე. ამიტომ, ვფიქრობ, საერთო ძალებით ვიმოქმედებთ. პარტიის ყრილობამ, როგორც ნახეთ, თავის გადაწყვეტილებებში თავი მოუყარა მთავარს. ახლა კი მოდით შევასრულოთ ეს გადაწყვეტილებანი.

შეძახილები: მუშაობაა საჭირო!

მ. ს. გორბაჩოვი: მუშაობა საჭიროა, თანაც ახლებურად, საჭიროა გარდაქმნა. რა არის გარდაქმნა? თითოეულმა თავის ადგილზე უნდა გააძლიეროს დისციპლინა, პასუხისმგებლობა, შემოქმედება, ნაყოფიერება. აი, მაშინ კი ჩვენი, საბჭოური მექანიზმი სწრაფად დატრიალდება.

ხმები: საამისოდ საკმარისი ენერგიაც გვაქვს, სურვილიც, ცოდნაც.

მ. ს. გორბაჩოვი: საკმარისად გვაქვს. პატრიოტიზმიც არ აკლია ჩვენს ხალხს, ეს არაერთხელ მითქვამს. ახლაც ვმუშაობთ, მაგრამ უკეთ უნდა ვიმუშაოთ.

იცით რა, თუ ხარვეზებზე ჩამოვაგდებთ სიტყვას, დიდი ხარვეზები მთგან ის იყო, რომ საწარმოო ფონდებს გადავუეევით და ნაკლებად მოვითხოვდით პასუხისმგებლობას სოციალური საკითხებისათვის. და უწინარეს ყოვლისა ბინებისათვის. თუმცა უკვე 20-25 წელია ტემპის შეუნელებლად ვაშენებთ.

თქვენ აქ დიდი ნედლეულის რესურსები გაქვთ. ისინი გადასამუშავებლად იქ, ქვეყნის ცენტრში უნდა მიგქონდეთ? ეს არ უნდა იყოს მიზანშეწონილი.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე „ჩვენი ქალაქი“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გამოიკითხა, თუ როგორია ზღვისპირეთის მხარის ცენტრის ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური საკითხების პერსპექტივები.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ მ. ს. გორბაჩოვი შეკრებილთ მიუახლოვდა. გაიმართა საუბარი ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე.

კითხვებზე პასუხს რომ იძლეოდა, მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: წესრიგი ჩვენს ქვეყანაში ერთიანი უნდა იყოს. და აი, რა არის მისი აზრი — თითოეულმა უნდა მიიღოს შრომისათვის, რომელიც იწვევს წარმოებისა და საქონლის ზრდას. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აქ ყველაფერი რიგზე ვერ არის, ამხანაგებო. ფული იხარჯება, ხოლო რახან არ გვემატება საქონელი — ეს კი არის ფეხსაცმელი, ავეჯი, ბინები და მრავალი სხვა რამ, — მაშ, რას გვაძლევს შრომა? ამიტომ პირველი და უმთავრესია ყველას ვუხდიდეთ ფულს, რეალური მუშაობისათვის, რეალური შედეგისათვის — შახტაში, დაზგასთან, მარტენთან, კულმანთან, სამეცნიერო დანადგართან. თუ ჩვენ ეს არ დავნერგეთ, ქვეყანა წინ ვერ წაიწევს.

ცალკეული ადამიანები ამბობენ: ეს ფული, ეს ფული... ეს ფული ... ეს ... ეს ... ...

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

სამეურნეო პროცესებისათვის, დაგვიჩქარებინა წარმოების ზრდის ტემპი, გავეზარდა შრომის ნაყოფიერება. გარკვეულ შედეგებს გვაძლევს მანქანათმშენებლობაში, სათბობ-ენერგეტიკულ და აგროსამრეწველო კომპლექსებში, შავ მეტალურგიაში, ქიმიასა და ნავთობქიმიაში და ზოგიერთ სხვა დარგში მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

უკეთ წყდებოდა სოციალური ამოცანებიც. საექსპლოატაციოდ გადაცემულია მეტი ბინები, გაიზარდა სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების ამოქმედება. იქ, სადაც მასშტაბურად და ენერგიულად მუშაობენ ადგილობრივი ორგანოები, გაუმჯობესდა სასურსათო პროდუქტებითა და სამრეწველო საქონლით მოსახლეობის მომარაგება, საყოფაცხოვრებო მომსახურება. ასეთ ძვრებს შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ.

მაგრამ ამხანაგებო: ძვრები, რომლებიც გვაბარებს და იმედს გვისახავს, მიღწეულია უწინარეს ყოვლისა შრომის, სახელმწიფო და საგგმო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა შედეგად. უფრო მომთხოვნელად მივუდექით გეგმების შედგენას და შესრულებას, საქმეებში წესრიგის დამყარებას, უკეთ დავიწყეთ შრომა, შევუტიეთ ლოთობას და დადებითი შედეგებიც უკვე მივიღეთ.

მაგრამ ნახევარი წლის საერთო სასიკეთო მაჩვენებლების მიუხედავად ზოგიერთ დარგში ზრდის ტემპი მაის-ივნისში შენელდა, მთელმა რიგმა სამინისტროებმა თავი ვერ გაართვეს გეგმის შესრულებას. კვლავ ძალიან გვიშლის ხელს წარმოების ურიტმობა, იმის არასაკმარისად ეფექტიანი გამოყენება, რაც გვაქვს, არ მოჰხდარა შესაჩნევი ცვლილებები უკეთესობისაკენ პროდუქციის ხარისხში. ეს კი, მოგეხსენებათ, ჩვენი საერთო უბედურებაა.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ სრულიად გარკვეული დასკვნა: თვისებრივი ცვლილებები, რომლებიც ნამდვილად დაამკვიდრებს დაჩქარებული ზრდის ტემფდენციას, ქვეყანაში ჯერ არ მომხდარა. ვფიქრობ, გესმით და დამეთანხმებით, რომ ეს ვერც მოხდებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული და იდეოლოგიური, ასევე სხვა ხასიათის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების განხორციელება ეს-ესაა დაიწყო და, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივი ეფექტის მოცემა არ შეუძლიათ. მაშასადამე, სახალხო მეურნეობის ზრდის ტემპის დაჩქარებასაც არა აქვს, და კაცმა რომ თქვას, როგორც უკვე მოგახსენეთ, არც შეიძლება ჭონდეს ჯერჯერობით მყარი ხასიათი.

მაშასადამე, ახლა დაუშვებელია ორიდან რომელიმე უკიდურესობაში გადავარდნა. გულუბრყვილობაა — და მავნეც—იმის ფიქრი, თითქოს, რაკი ეკონომიკაში მაჩვენებლები გაიზარდა, ჩვენი საქმიანობის გარდაქმნა უკვე მოლიანად გაიშალა და ყველგან სწრაფად მიმდინარეობს. მდგომარეობა ჯერ სულაც არ არის ასე, ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებსა და დარგებში ჯერჯერობით მხოლოდ ლაბორატორიულ გარდაქმნაზე, ამ საქმეს კი ადგილიდან არ ძრავენ.

მაგრამ ასევე დაუშვებელია გარდაქმნის სიძნელეების, იმათი წინააღმდეგობისა თუ გულგრილობის წინაშე უკან დახევა, ვინც მიეჩვია ინერციით ცხოვრებას, ძველებურად მუშაობას. XXVII ყრილობაზე სამართლიანად აღინიშნა: ჩვენ ადგილ საქმეს როდი ვიწყებთ. ვისახავთ რეალისტურ, მაგრამ ძნელ მიზნებს, რომელთა მიღწევა შესაძლებელია, თუ გამუდმებით ვისწავლით ცხოვრებისაგან, ნიადაგ გავიაზრებთ მის გამოცდილებას, გაკვეთილებს, ახალ მომენტებს.

არსებითად ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ ამ შუამავს: რაღაცაში წარმატებით, რაღაცაში — არც ისე. რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი ხდება, თუ რაოდენ რთულია ეს ამოცანა, რაოდენ დიდია ჩვენი მომავალი საქმეების მოცულობა. მაგრამ უკან ვერ დავიხევთ და არც დავიხევთ, დაჩქარების სტრატეგიას უბრალოდ ალტერნატივა არა აქვს. ეს უკვე არაერთგზის გვითქვამს, მინდა კიდევ ერთხელ დავადასტურო ეს თქვენთან ვლადივოსტოკში.

საქმე, რა თქმა უნდა, იმას კი არ ეხება, რომ ვეჩიჩინოთ ან დავიყოლიოთ ადამიანები, ვაიძულოთ ისინი იმოქმედონ სახოგადოებრივი განვითარების კანონების საწინააღმდეგოდ, ან ეცადონ როგორღაც გვერდი აუარონ ამ კანონებს, რეალურად არსებულ პირობებს, „ჭკუით აჯობონ“ მათ. პარტია, ცენტრალური კომიტეტი, აბორიგიელენენ რა გარდაქმნის კურსს, ხელმძღვანელობენ სხვა რამით: იმით, რომ აუცილებელია უფრო ღრმად და ოპერატიულად ჩავწვდეთ ამ კანონებს, უნარიანად გავითვალისწინოთ ისინი ჩვენს საქმიანობაში, იმით, რომ უაღრესად საჭიროა მოვშალოთ ამ გზებზე ხელოვნურად შექმნილი ყველა ღობრკოლება და ხერგილი.

ხუთწლედის პირველი ნახევარწლეულის საგრძნობი, ობიექტური შედეგები მოწმობს, რომ საბჭოთა ხალხი მხარს უჭერს დაჩქარების კურსს და ეს არის ყველაზე ძვირფასი მხარდაჭერა — საქმით მხარდაჭერა.

აქ ვლადივოსტოკში, ისე როგორც ყველგან, სადაც მიწევს ყოფნა, ასე ვთქვათ, ჩემი ახალი მოვალეობების შესრულებისას, ერთი და იგივე კითხვას ვსვამ: ყველაფერი ნათელია პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც პარტიამ შეიმუშავა და შესთავაზა ხალხს, ხომ არ ებადება ვინმეს რაიმე ეჭვი? კმაყოფილებით მოვისმინე აგრეთვე აქ, შორეული აღმოსავლეთის მიწაზე, რომ მხურვალედ უჭერთ მხარს და იწონებთ პარტიის პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება ხალხის ინტერესებისათვის, ყველა საბჭოთა ადამიანის, თითოეული ოჯახის ინტერესებისათვის, ქვეყნის მომავლის ინტერესებისათვის. ეს მხარდაჭერა, ბრძოლისათვის, სიძნელეთა დაძლევისათვის ჩვენი ხალხის განწყობილება მაქსიმალური უკუგებით, ეფექტი ეფექტით უნდა მოვახმაროთ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტას. ამ პოზიციიდან მინდა, ამხანაგებო, შევეხო **შორეული აღმოსავლეთის** განვითარების ზოგიერთ საკითხს, გკითხოთ რჩევა, ან იქნებ, მე ვიტყოდი, განვაგრძო თათბირი, რომელსაც მესამე დღეა ვეწევი თქვენთან, შორეულადმოსავლეთელთან, უფრო სწრაფად როგორ უნდა გარდავქმნათ ეს მხარე, საბჭოთა ხალხს სამსახურში როგორ ჩავაყენოთ მისი სიმდიდრენი, უფრო უკეთ და სრულად როგორ. დავაკმაყოფილოთ აქ მცხოვრებ ადამიანთა მოთხოვნილებანი.

შორეულ აღმოსავლეთს ტრადიციულად წყნარ ოკეანეში ქვეყნის ფოსტოსტს უწოდებენ. ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ დღეს ამ თვალსაზრისს უკვე საკმარისად ვერ მივიჩნევთ. ხვეისპირეთი, შორეული აღმოსავლეთი უნდა გადავაქციოთ დიდად განვითარებულ სახალხო-სამეურნეო კომპლექსად.

ვხედავ, რომ თქვენ მომზიდდით იმისათვის, რათა ხელი მოჰკიდოთ ამ ამოცანის გადაწყვეტას. და ვფიქრობ, იქნებ, თქვენ, ვინც აქ იცხოვრა წლები და ათწლეულები, უკეთაც კი იცოდეთ, რომ ეს არ არის იოლი შრომა — შორეული აღმოსავლეთის მასშტაბური ათვისება. მაგრამ რადგან ასე მხურვალედ მიესალმებით ნათქვამს, მაშასადამე, დარწმუნებული ხართ, რომ ახლა ეს ამოცანა ხელგეკეწიფება. ამის რეალური წინაღვრებია ყველაფერი ის, რაც გაკეთდა წინა წლებში, აქ შეიქმნა დიდი სამეცნიერო-საწარმოო პოტენციალი, აშენდა უდიდესი თანამედროვე საწარმოები, რომლებიც წარმოადგენენ ინდუსტრიის ყველა დარგს, ამოქმედდა სამთომომპოვებელი ობიექტები, ელექტროსადგურები, ახალი რკინიგზები, საბორნო გადასასვლელები და ნავსადგურები. მელიორირებულია ასიათასობით ჰექტარი მიწა. შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შორეული აღმოსავლეთის სამეცნიერო ცენტრის ინსტიტუტების ქსელით. აღიზარდნენ მუშათა და სპეციალისტთა კვალიფიციური, თანამედროვე კადრები.

ამის შედეგად ორ ათწლეულში სამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის გასამკეცდა, ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქცია. დღეს შორეული აღმოსავლეთი იძლევა ქვეყანაში მთელი დამეცილი თევზის 40 პროცენტს. ბოლო ოთხ ხუთწლედში აშენდა 62 მილიონი კვადრატული მეტრი ბინა, რაც უდრის დაახლოებით „შიდი ისეთი ქალაქის აგებას, როგორიც ვლადივოსტოკია. თუმცა შრომითი რესურსების მატება ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, მაგრამ მოსახლეობის რიცხვი 20 წლის მანძილზე 1,4-ჯერ გაიზარდა. საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკა ფართოდ გავიდა წყნარი ოკეანისაკენ.

მაგრამ დაჩქარების პოლიტიკის შესაბამისად, XXVII ყრილობის პოზიციებიდან საკითხი უნდა დავაყენოთ პირდაპირ და მწვავედ: შეესაბამება თუ არა შორეულ აღმოსავლეთში ეკონომიკური და სოციალური განვითარება, სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის დონე და კვლევის მასშტაბი მის მზარდ როლს, პარტიის მიერ დასახულ ახალ ამოცანებს? საკმარისად ეფექტიანად გამოიყენება თუ არა აქ შექმნილი პოტენციალი?

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიული კურსი მოითხოვს ახალი რეგიონალური პოლიტიკის განხორციელებასაც. აქ პარტია თვალსაჩინო ადგილს უთმობს აღმოსავლეთ რაიონების უპირატეს განვითარებას. ამასთან დაკავშირებით ვალდებული ვართ ყურადღებით შევხედოთ შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკის პერსპექტივებსაც. მაგრამ, სამწუხაროდ, დასახულიდან ბევრი რამ ცუდად სრულდება.

ამით გამოიხატა ის, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სახმომარაგების, ფერადი მეტალურგიის, ქვანახშირის მრეწველობის, ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროების, მთელი რიგი სხვა უწყებების ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი ვერ იგებს შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკის როლსა და მნიშვნელობას, ეა საბოლოო ანგარიშით — იჩენს პოლიტიკურ სიბეცეს. მნიშვნელოვანი და არანაკლები ბრალი მიუძღვით რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს.

ძირეულად უნდა გამოვასწოროთ მდგომარეობა, ზრდის ტემპის შენელებიდან გადავიდეთ მის დაჩქარებაზე, ექსტენსიური ფაქტორების სიჭარბიდან ყოველმხრივ ინტენსიფიკაციაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე. უნდა შევაჩერეთ ოთხ პრობლემების გადაჭრის დრო, მკვეთრად გავზარდოთ შორეული აღმოსავლეთის წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალში. ეს კი უწინარეს ყოვლისა მოითხოვს შორეულაღმოსავლელთა ცხოვრების დონის უპირატეს ამაღლებას, შრომის პირობების არსებითს გაუმჯობესებას, ბინებით უზრუნველყოფას, სურსათითა და სამრეწველო საქონლით მომარაგებას, მთელი სოციალური სფეროს განვითარებას. იგი აშკარად ჩამორჩა. ეს ახლენს გავლენას ადამიანთა დამკვიდრებაზე, და საბოლოო ანგარიშით შორეული აღმოსავლეთის განვითარების ტემპზე.

ახლა დგას ერთიანი სახელმწიფო რეგიონალური, პოლიტიკის ფარგლებში შორეული აღმოსავლეთის გრძელვადიანი განვითარების კონცეფციის შემუშავების საკითხი. კონკრეტულად ასეთი კონცეფცია, ალბათ, უნდა განსახიერდეს კომპლექსური პროგრამით. მისი მიზანია: შეიქმნას შორეულ აღმოსავლეთში შრომის საერთოსაკავშირო და საერთაშორისო დანაწილების სისტემაში ორგანულად ჩართული დიდფენტენციალი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი საკუთარი დიდი სარესურსო და სამეცნიერო-საწარმოო ბაზით, ეკონომიკის ოპტიმალური სტრუქტურით, განვითარებული სოციალური სფეროთი. ამ თვალსაზრისით დიდი მუშაობაა გაწეული ხუთწლიანი გეგმის მომზადების პროცესში. იგი დაძაბული, და მისი შესრულება დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

მაგრამ ეს მთელი რეგიონის განვითარების დაჩქარებისათვის მუშაობის მხოლოდ დასაწყისია. არ მინდა წინ გავუსწრო იმას, რაც დეტალურად უნდა შეიმუშაონ სპეციალისტებმა ფართოს საზოგადოებრიობის მონაწილეობით, მხოლოდ ამ მუშაობის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას შევეხები.

პირველი. შორეული აღმოსავლეთის თავად გეოგრაფიული მდებარეობა „განსაზღვრავს აქ ოკეანის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული დარგების მაღალგანვითარებული კომპლექსის ჩამოყალიბების კურსს. მრავალი მიზეზის გამო ქვეყნის თევზის მეურნეობა სულ უფრო მეტად ინაცვლებს შორეული აღმოსავლეთისაკენ. აქ მძლავრი თევზსაჭერი ფლოტის შექმნაში დიდი სახსრებია დაბანდებული. და ამავე დროს სერიოზულად ჩამორჩა სანაპირო სამსახურების მოწყობა. დაბალ დონეზეა მძიმე სამუშაოთა მექანიზაცია. ამის შედეგად ძვირადღირებული გემების მნიშვნელოვანი ნაწილი ცდება, არაეფექტიანად გამოიყენება, ქრონიკულად გვაკლია სარემონტო ბაზის სიმძლავრეები, საცავები, თევზსაჭერი ფლოტის ნავსადგურები, გადამამუშავებელი საწარმოები. ერთი სიტყვით, საჭიროა შორეული აღმოსავლეთის თევზის მრეწველობის განვითარების სერიოზული კომპლექსური ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ზღვის პროდუქტებიდან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების წარმოებას. ეს მიმართულება ვითარდება სხვა ქვეყნებში და მან ცხადყო თავისი დიდი ეფექტიანობა.

მეორე. ეს არის რეგიონის უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების კომპლექსური გამოყენების საკითხი. ფერადი მეტალურგიის სამინისტრომ ყურადღება უნდა მიიპყროს შორეული აღმოსავლეთის შესაძლებლობებს. როგორც გეოლოგებმა დადგინეს, რეგიონში უხვად არის ფერადი ლითონების, ოქროს, ვერცხლის, ბერი სხვა ძვირფასი ელემენტისა და მინერალის მრავალი მდიდარი ბუდობი. შეიძლება არსებითად გავაფართოოთ მათი მოპოვება და გადამუშავება, თუ საქმეს თადარიგიანად მივუდგებით. დიდი ფერადი მეტალურგიის განვითარებას შორეულ აღმოსავლეთში სერიოზულად უნდა მოვიკიდოთ ხელი: შეიქმნათ აქ წარმოების დამთავრებული ციკლები და მივიღოთ სხვადასხვა მზა პროდუქცია. აღარ შეიძლება შორეულ აღმოსავლეთს მხოლოდ ნედლეულის ბაზად მივიჩნევდეთ. ვფიქრობ, თქვენ არ უნდა ურიგდეთ ამას, ცენტრში ეს კარგად უნდა ესმოდეთ: მხედველობაში მაქვს საკავშირო, და რესპუბლიკური ორგანოებ ი ტ. მხარის უზარმაზარი ნედლეული შესაძლებლობები უნდა გამოვიყენოთ აქ დამთავრებული ციკლის საწარმოოთა მშენებლობისათვის და მივიღოთ სულ ცოტა ნახევარპროდუქტები, სჯობს — საბოლოო პროდუქტები. ის, რაც ვთქვი ფერადი მეტალურგიის შესახებ, მეტწილად ეხება ხეტყის, ცელულოზა-ქაღ ა ლ დ ი ს და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, რომელიც მოვალეა მტკიცედ გადავიდეს მერქნის ღრმა დამუშავებაზე, ამას უკავშირდება ბაიკალ-ამურის მmagისტრალის ზონის ფართო მასშტაბის სამეურნეო ათვისების ამოცანებიც. ახლა ამ საკითხზე მზადდება ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის სპეციალური გადაწყვეტილება. და აქ დიდი საქმეები გელით.

მესამე. უმოკლეს ვადაში უნდა დაიძლიოთ შორეული აღმოსავლეთის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ქრონიკული ჩამორჩენა, რომელიც აფერხებს სხვა დარგების განვითარებას. არ შეიძლება ცხოვრობდე მომავლის განუმეორეტლად, განწყობილებით, ცენტრიდან სულერთია დამეხმარებიან სათბობით და ენერგიითო. სათბობისა და ნახშირწყალბადის ნედლეულის რესურსები თვენენ კოლოსალური გაქვთ. მაგრამ უკვე არაერთი ათწლეულია ლაპარაკობენ, მაგალითად, ჩრდილოეთ სახალინის გაზის გამოყენებაზე. პრაქტიკულად კი მუშაობა ეს-ეს არის დაიწყო. გაქვიანურდა სახალინის შელფის ნავთობგაზის საბადოების ექსპლოატაციის პრობლემის გადაჭრაც. ამ დროს კი დასავლეთ ციმბირიდან შორეულ აღმოსავლეთში ნავთობით დატვირთული ასობით ეშელონი მოდის. მილიონობით ტონა ნავთობი შორეული აღმოსავლეთისათვის დღეს იძულებული ვართ შემოვიტანოთ ქვეყნის სხვა რაიონებიდან.

იმიერბაიკალისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონების სათბობ-ენერგეტიკული ბაზის განვითარების ერთ დროს დასახული ღონისძიებები დადგენილ ვადებთან შედარებით დიდი ჩამორჩენით სრულდება. შორეულ აღმოსავლეთის შეუძლია მთლიანად დაკმაყოფილოს და უნდა დაკმაყოფილოს კიდეც თავისი ენერგეტიკული მოთხოვნილებები საკუთარი რესურსების ხარჯზე. შორეულ აღმოსავლელებმა ბევრი უნდა აშრომონ ენერგეტიკული მშენებლობის სამიდო ბაზის შექმნისათვის, დაიჩქარონ სითბოელექტროსადგურების აგება, ელექტრომომარაგების ერთიანი და მძლავრი სისტემის შექმნა. უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ შორეულმა აღმოსავლეთმა ანგარიშით ეროვნული ეკონომიკა, მარტოოდენ შორეული აღმოსავლეთის პრობლემა არ არის. მაგრამ აქ იგი, ალბათ, განსაკუთრებით მწვავედ დგას. თქვენს რეგიონში საჭიროა დავაჩქაროთ თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება. მე ვიტყოდი ეს ამ გეგმების საფუძველზე საფუძველია, რომლებსაც ვსახავთ აქ, შორეულ აღმოსავლეთში. ახლა თქვენთან მოვიდნენ რკინიგზის მშენებელთა მძლავრი ქვაბანაყოფები, რომლებმაც მოკლე ვადაში გაიყვანეს ბაიკალ-ამურის magისტრალი. მათი გამოყენება შეიძლება და უნდა გამოიყენოთ კიდეც, მაგალითად, ძველი რკინიკეჩის ხაზების რეკონსტრუქციისათვის, რომლებსაც დღეს მცირე კომტარუნარიანობა აქვთ, ან ჩაბაბთ საავტომობილო გზებისა და ნავსადგურების, სხვა საჭირო ობიექტების მშენებლობაში.

უფრო ეფექტიანად უნდა გამოიყენოთ საზღვაო ტრანსპორტიც, განმტკიცოთ მისი ინფრასტრუქტურა, განავითაროთ ტვირთზიდვის პროგრესული ფორმები. გამოცდილება ამ მხრივ გაქვთ. მარტო დღეს გავეცანი ნახოდკაში აღმოსავლეთის ნავსადგურის სამმაანობას. ეს შესანიშნავი თანამედროვე ნავსადგურია. იგი შეიძლება მაგალითად მოვუყვანოთ სხვებს. კარგად მოქმედებს მაგალითად, საბორნე გადასასვლელი სახალინზე. უფრო სწრაფი ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ ჩრდილოეთის საზღვაო გზით გამგზავნი ნავიგაციის ეკონომიკური ეფექტის გადიდებისათვისაც.

მეოთხე. თავისი არცთუ მცირე სპეციფიკა აქვს რეგიონალური მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის, მათ შორის ამ რაიონში იქსპლოატაციის პირობების გათვალისწინებით ყველაზე თანამედროვე ტექნიკით საწარმოთა აღჭურვის საკითხების გადაწყვეტასაც. თითქოს, აქ ბევრი მანქანათსაშენებელი საწარმოა, ბევრ მათგანს კარგი ოსტატებიც ჰყავს, და კარგი სახელიც აქვს.

მაგრამ უწყებრივი გათიშულობის გამო შორეული აღმოსავლეთის მანქანათმშენებლობის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის ქვეყნის ევროპულ ნაწილში, იქიდან კი მოდის ტექნიკის შემხვედრი ნაკადი აქაური საჭიროებებისათვის. სასწრაფოდ უნდა განვიხილოთ ეს საკითხები, დავაზუსტოთ მანქანათსაშენებელი ქარხნების სპეციალიზაცია, განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ აქ მძლავრი, ტექნიკურად კარგად აღჭურვილი წარმოებების შექმნას როგორც თვით რეგიონის საჭიროებებისათვის, ისე ექსპორტისთვისაც.

მეექვსე. სრულად უნდა გამოიყენოთ შორეული აღმოსავლეთის მეურნეობის განვითარების საექსპორტო მომართულების შესაძლებლობანი. ამჟამად ქვეყნის ექსპორტში რეგიონის წილი უაღრესად მცირეა და ძალზე შორს არის მისი პოტენციური შესაძლებლობებისაგან. აქ საჭიროა კარდინალური ცვლილებები, ახალი მიდგომა, რათა გამოვაცოცხლოთ სანაპირო და სასაზღვრო ვაჭრობა, აგითვისოთ საზოგადოებრივი ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის პროგრესული ფორმები, მათ შორის საწარმოო კოოპერაცია, ერთობლივი საწარმოები, შეკვმნათ სპეციალიზებული საექსპორტო ბაზა.

მეშვიდე. პარტიის ყრილობაზე მწვავედ დაკრიტიკეთ სოციალური სფეროს განვითარებისათვის სახსრების ნარჩენების გამოყოფის პრინციპი. ეს ძველი სენია. ქვეყნის მთელ რიგ აღმოსავლეთ რაიონებში, მათ შორის ზღვისპირეთშიც, ასეთი პრაქტიკა არეოთვე დიდად გავრცელდა. რეგიონში მატად ერცელ ტერიტორიაზე ცხოვრობს დაახლოებით 7,7 მილიონი კაცი. მთელი სურსათის თითქმის ნახევარი აქ შემოაქვთ. ბოლო 20 წლის მანძილზე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შორეულ აღმოსავლეთში შემცირდა რძის, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება. მხარეების, ოლქების, ოკრუგების, რაიონებისა და მეურნეობების ბევრი ხელმძღვანელი შეეგუა მცირემოსავლიანობას, მცირე წვლილობას და პირუტყვის წონამატებას, საკვების მასობრივ შემოტანას. გეგმების გამო გამოთქმულ წინადადებებშიც კი 15-20 წლით ადრე ისმება საკითხი იმის შესახებ, რომ შორეული აღმოსავლეთის სოფლებთან მომარაგება გაფართოვდეს ქვეყნის სხვა რეგიონებიდან მიწოდების ხარჯზე.

ვფიქრობ, ეს შორსმჭვრეტელური გეზი არ არის. გამოსავალი კი აქ ერთია: შეიქმნათ საკუთარი დიდად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ბაზა და კვების მრეწველობა. ამ მიზნით ინტენსიური ტექნოლოგიების საფუძველზე აქტიურად უნდა განვავითაროთ აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგი, კერძოდ. სასუქების მრეწველობა, მოვახდინოთ კოოპერირება მეზობელ ქვეყნებთან სასოფლო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში.

დაძაბული ვითარება შეიქმნა რეგიონში საბინაო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობასთან დაკავშირებით, რაც გავლენას ახდენს აქ მუდმივი ბინადრობისათვის ჩამოსულთა დამკვიდრებაზე. ვფიქრობ ასეთი ვითარებისათვის პასუხისმგებლობა ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უნდა გაიზიარონ როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურმა შესაბამისმა სამეურნეო სამინისტროებმა და უწყებებმა.

მე მხარის ხელმძღვანელებს მთავარი შენიშვნები ვუთხარი იმის შესახებ, რომ ის, რასაც ისინი დღეს აკეთებენ სოციალური სფეროს განვითარებისათვის, არ არის საკმარისი. ყოველ შემთხვევაში, არ შეესაბამება იმ საჭიროებას, რომელიც რეალურად არსებობს. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ამ საყვედურის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა მივაკუთვნოთ ცენტრალურ უწყებებს. ბევრი მათგანი ძალზე უხვად ახარის სახსრებს სხვადასხვა მიმართულებით წარმოებათა განვითარებას და ძალზე ძუნწად გამოყოფს სოციალური სფეროს განვითარებისათვის. ამის შედეგად საწარმოო სიმძლავრეები იქმნება, შექმნილი საწარმოო პოტენციალის სრულად გამოშყენებელი კი არავინ არის. ეს ხწორედ ის „ეშმაკობაა“, რომელიც ძვირად უჯდება სახელმწიფოს. ასეთია ამ მოვლენის პოლიტიკური შეფასება.

თქვენ მშვენიერი მხარე, შესანიშნავი ზღვა, უნიკალური ბუნება, მდიდარი მინერალური წყაროები გაქვთ. დღეს ნახოდკისაკენ მოვფრინავდი, და როცა ნისლი გაიფანტა, ღრუბლები გადაყარა და მზემ გამოანათა, ზემოდან დავინახე მთელი ეს სილამაზე. ბორცვები, ოქროსფერი ველი და ოკეანე — ყველაფერი ერთადაა. ეს კოლოსალურ შთაბეჭდილებას ახდენს. მართლაც მშვენიერი მხარეა.

შორეული აღმოსავლეთი უნდა გადაიქცეს ერთ-ერთ წამყვან საკავშირო ჯანმრთელობის კურორად, საშინაო და საერთაშორისო ტურიზმის, მათ შორის საოკეანო და მაღალი განედის ტურიზმის ცენტრად. ეს, სხვათა შორის, რესურსებს შემატებდა ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის დაჩქარებას.

გუშინ, პიონერთა ბანაკისაკენ მომავალი, გზად შევხვდი დამსვენებელთა ჯგუფს. აღმოჩნდა, რომ მთელი ქვეყანაა აქ წარმოდგენილი. ამასთან ბევრი უკვე მერამდენჯერ ჩამოდის, შეიყვარდათ ეს მხარე, მისი ბუნება. და ყველა ერთხმად გვიჩივლა, ფართოდ გავშალოთ აქ დასვენების ბაზა.

ახლანდელი ვითარების მიზეზი ცხადია. საბინაო და სოციალურ-კულტურული ობიექტების არადამაკმაყოფილებელი მშენებლობა იმით აიხსნება, რომ არ არის საჭირო მარაგნაკეთი, ჩამორჩება სამშენებლო ბაზა, სუსტია სამშენებლო კოლექტივები. ამას ვეღარ შეეურიგდებთ. თუ სოციალური საკითხებისაკენ შემობრუნებას საარსებო მნიშვნელობა აქვს მთელი ქვეყნისათვის, მორეული აღმოსავლეთისათვის იგი ერთიორად და ერთისამად მნიშვნელოვანია.

როგორ დავძლიოთ წლების მანძილზე წარმოქმნილი სიძნელეები? მე უკვე ვთქვი, ამაში ბრალი მიუძღვით ცენტრსაც, ადგილობრივ ორგანოებსაც. ასე რომ, საქმე უნდა გამოვსწოროთ და ვიმოქმედოთ ერთდროულად ქვემოდანაც და ზემოდანაც. შემიძლია აღგიმქვთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა მტკიცედ შემოაბრუნებენ საკავშირო და რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს ქვეყნის აღმოსავლეთის რაიონების პრობლემებისაკენ, მათ შორის თქვენი მხარისაკენ.

საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთს დაუვიწყარი წარსული და, დარწმუნებული ვარ, სანდოლოვანი მომავალი აქვს. ეს კოლოსალურ ბუნებრივ სიმდიდრეთა, უდიდეს სოციალურ და ეკონომიკურ მუსაძლებლობათა, დიდი საერთაშორისო პერსპექტივის მხარეა. თქვენზე და, რა თქმა უნდა, ცენტრის ყურადღებაზეა დამოკიდებული, როგორ გაგუძღვებთ საქმეს, რა შედეგებს მივაღწევთ ქვეყნის ამ მნიშვნელოვან რეგიონში.

მესმის, რომ შენიშვნები და პრობლემათა ასეთი, შეიძლება ითქვას, მწვავე დაყენება დღეს მთლად საზეიმოდ არ ჟღერდა. მაგრამ ასეთია საქმიანი ლენინური ტრადიცია: გაკეთებულ რომ ვთქვასებთ, მზერას მივაპყრობდეთ მომავალს. უაღრესად საჭიროა არ დავკარგოთ პერსპექტივა, საფუძველი ჩავუყაროთ ახალი მიჯნებისაკენ წინსვლას. ახლა მთავარია მთელი ყურადღება მივაპყროთ თქვენთვის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდ ან გამომდინარე პერსპექტიულ ამოცანებს. და ასეთი მიდგომისათვის, მათ შორის კრიტიკული ანალიზისათვის, დროულია, ვფიქრობ, საზეიმო სიბაბიც კი — სიტიკი ჯილდოს მიღება.

ასეთია ჩვენი საერთო გეგმები და საზრუნავი, ამხანაგებო. ისინი ყოველგვარ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებზე უკეთ მეტყველებენ საბჭოთა კავშირის ნახევრის ზრდილ ადამიანებზე. და როგორც უნდა ეცადონ იმპერიალიზმის მმართველი ძალები მათს დამახინჯებას, ჩვენ გულწრფელად და პატიოსნად ვეუბნებოდით და ვეტყვით ყველა ხალხსა და მთავრობას: დიახ, ჩვენ გვეჭირდება მშვიდობა, ჩვენ ვმოგიწოდებთ შეეგრეროთ გამალებული შეიარაღება, შევწყვიტოთ ბირთვული უფრუნერება და მოვსპოთ ბირთვული იარაღი, მტკიცედ ვეძიოთ რეგიონალური კონფლიქტების პოლიტიკური გადაწყვეტის გზები.

ყველასათვის მშვიდობის აუცილებლობის გაგება მძლავრად იჭერება ხალხების შეგნებაში იქაც კი, სადაც მთავრობებს იარაღი და ომი ეკლავ პოლიტიკის საშუალებად მიაჩნიათ. მშვიდობა. სწორედ ყველასათვის, რადგან ბირთვული ომი არ იქნება მხოლოდ ორი ბლოკის, ორი მოპირისპირე ძალის შეტაკება, მას მოჰყვება მსოფლიო კატასტროფა, როცა დაღუპვის საფრთხე დაემუქრება კაცობრიობის ცივილიზაციას.

ჩვენ თვალწინ ხდება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენები. ბირთვული განიარაღების, ჩვეულებრივი იარაღისა და მნიშვნელოვანი შემცირების, კონტროლის, საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების ჩვენეულ ინიციატივებს სხვადასხვაგვარად შეხვდნენ.

შეგობრულმა ქვეყნებმა მათ მხარი დაუჭირეს. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები სავსებით სამართლიანად მიიჩნევენ მათ მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის საერთო გეზის შემადგენელ ნაწილად. და არა მარტო იმიტომ, რომ ეს ინიციატივები შეთანხმებულია მათთან, არა მარტო პრინციპული ინტერნაციონალისტური მოსაზრებებით, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენც და ისინიც ერთსა და იმავე მშვიდობის საქმეს ვაკეთებთ — სრულჟაოფთ ჩვენს საზოგადოებას. ამ საფუძველზე აქტიურდება დაახლოების ეკონომყოფილი პროცესი, ახალ შინაარსს იძენს ეკონომიკური ინტეგრაცია, იდგმება კონკრეტული ნაბიჯები ერთობლივი საწარმოებისა და გაერთიანებების შექმნის გზაზე, ფართოვდება ადამიანების ცოცხალი ურთიერთობა. ერთი სიტყვით, მიმდინარეობს პროგრესული ურთიერთხელსაყრელი პროცესი, რომელიც აღმავლებს თანამეგობრობას, ხალხთა თანამშრომლობასა და ძმობას.

ჩვენს გეგმებსა და მიზნებს — როგორც სამინაო, ისე საერთაშორისოს — დიდი ინტერესით ეკიდება განვითარებადი სამყარო. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ამ სამყაროს ბევრ ქვეყანას სურს კეთილ-ვაც გაიფართოოს და გაღორმოს ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან. ჩვენ მზად ვართ ამისათვის.

სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სერიოზულად, ინტერესით ეკიდებიან ჩვენს გ

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

(დასასრული)

ოკეანის ორივე კიდეზე მდებარე ბევრი ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო პოტენციალი შესაძლებელს ხდის ყოველგვარი გამალებული შეიარაღების ფორსირებს. ხუ დავიგიწყებთ: სწორედ აზიაში აწარმოებდა ამერიკის იმპერიალიზმი 1945 წლის შემდეგ ორ უდიდეს ომს — კორეასა და ინდოჩინეთში. ოთხ ათწლეულში რამდენიმე წელიც ვერ მოიძებნება ისეთი, როცა აზია-წყნარი ოკეანის სივრცის ხან ერთ, ხან მეორე წერტილში ომის ხანძარს არ ებობოქრის.

ევროპაში ავად თუ კარგად, მაინც მოქმედებს დიალოგის, მოლაპარაკების და შეთანხმების ჰელსინკის პროცესი. ეს განპირობებს ერთგვარ სტაბილურობას, ამცირებს შეიარაღებული კონფლიქტების ალბათობას. ხოლო იმ რეგიონში, რომლის შესახებაც ვლაპარაკობთ, ეს არ არის, ან თითქმის არ არის. და თუ ბოლო ხანს რაიმე იცვლება, უკეთესობისაკენ არა. 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წყნარ ოკეანეში შეიარაღებული ძალების გაძლიერების ფართო მასშტაბის ღონისძიებები განახორციელა. მისი ზემოქმედებით იქმნება ვაშინგტონ-ტოკიო-სეულის გასამხედროებული „სამკუთხედი“. და თუმცა ორმა სახელმწიფომ რეგიონის სამი სახელმწიფოდან, რომლებსაც ბირთვული იარაღი აქვთ, — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და სსრ კავშირმა ვალდებულება იკისრეს არ იხმაროს იგი პირველებმა, შეერთებულმა შტატებმა განაადგა ბირთვული იარაღის მატარებელები და ბირთვული საბრძოლო ქობინები ერთ-ერთ კრიზისულ ზონაში — კორეის ნახევარკუნძულზე, და გარდა ამისა ბირთვული იარაღის მატარებელები — იაპონიის ტერიტორიაზე.

გვეხდება ომის აღნიშვნა, რომ მილიტარიზაცია, ომის საფრთხის გაძლიერება მსოფლიოს ამ ნაწილში საშიშად ჩქარდება. წყნარი ოკეანე თანდათანობით გადაიქცევა სამხედრო-პოლიტიკურ კონფრონტაციის ასპარეზად. ეი რა აწუხებს ყველაზე მეტად აქ მცხოვრებ ხალხებს. ეს გვაწუხებს ჩვენც ყველა თვალსაზრისით, მათ შორის ჩვენი ქვეყნის უშიშროების მოსაზრებებით.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის აზიო-წყნარი ოკეანის მიმართულებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობის იმ ზოგადი პლატფორმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც პარტიის აპრილის პლენუმმა და XXVII ყრილობამ შეიმუშავეს. მაგრამ პლატფორმა სქემა კი არ არის, რომელიც შეიძლება ყოველგვარ სიტუაციას მიესადაგოს, არამედ უფრო გამოცდილებაზე დამყარებულ პრინციპებსა და მეთოდს წარმოადგენს.

ამის გათვალისწინებით, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ ვრცელ რეგიონში საერთაშორისო უშიშროების ფორმირებისა და მშვიდობიანი ურთიერთობის პროცესი?

უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირი XXVII ყრილობის პრინციპული გეზის შესაბამისად ეცდება დინამიკური ბალანსის, თავისი ორმხრივი ურთიერთობა აქ მდებარე უკლებლივ ყველა ქვეყანასთან. ჩვენ ყოველნაირად განვამტკიცებთ მეგობრობას და გავაქტიურებთ ჭრელალფეროვან კავშირურთიერთობას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკასთან, ლაოსის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, კამბოჯის სახალხო რესპუბლიკასთან. თანასწორუფლებიანობისა და სოლიდარობის პრინციპებზე დამყარებულ ურთიერთობას ჩვენს მეგობრებთან მივიჩნევთ მთლიანად აზიისა და წყნარი ოკეანის უშიშროების შემადგენელ ნაწილად.

მაგალითად, აქამდან მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან ერთად განვიხილავთ მონღოლეთიდან საბჭოთა ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყვანის საკითხს.

მზად ვართ გავაფართოოთ ურთიერთობა ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა ინდონეზია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ფილიპინები, ტაილანდი, მალაზია, სინგაპური, ბირმა, შრილანკა, ნეპალი, ბრუნეი, მალდივის რესპუბლიკა, რეგიონის პოლიტიკური ცხოვრების სულ ახალგაზრდა დამოკიდებელ მონაწილეებთან. ზოგიერთ მათგანთან, ისეთებთან, როგორიცაა პაპუა — ახალი გვინეა, დასავლეთი სამოა, ტონგის სამეფო, ფიჯი, კირიბატის რესპუბლიკა, ნაურუს რესპუბლიკა, ტუვალუ, ვანუატუს რესპუბლიკა, ჩვენ უკვე გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა.

ევროპიდან ავად თუ კარგად, მაინც მოქმედებს დიალოგის, მოლაპარაკებისა და შეთანხმებების ჰელსინკის პროცესი. ეს განპირობებს ერთგვარ სტაბილურობას, ამცირებს შეიარაღებული კონფლიქტების ალბათობას. ხოლო იმ რეგიონში, რომლის შესახებაც ვლაპარაკობთ, ეს არ არის, ან თითქმის არ არის. და თუ ბოლო ხანს რაიმე იცვლება, უკეთესობისაკენ არა. 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წყნარ ოკეანეში შეიარაღებული ძალების გაძლიერების ფართო მასშტაბის ღონისძიებები განახორციელა. მისი ზემოქმედებით იქმნება ვაშინგტონ-ტოკიო-სეულის გასამხედროებული „სამკუთხედი“. და თუმცა ორმა სახელმწიფომ რეგიონის სამი სახელმწიფოდან, რომლებსაც ბირთვული იარაღი აქვთ, — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და სსრ კავშირმა ვალდებულება იკისრეს არ იხმაროს იგი პირველებმა, შეერთებულმა შტატებმა განაადგა ბირთვული იარაღის მატარებელები და ბირთვული საბრძოლო ქობინები ერთ-ერთ კრიზისულ ზონაში — კორეის ნახევარკუნძულზე, და გარდა ამისა ბირთვული იარაღის მატარებელები — იაპონიის ტერიტორიაზე.

ეს ნიშნავს, ომის საფრთხის გაძლიერება, ომის საფრთხის ამაღლება ჩვენ ყველა ერისა, ყველა ადამიანისთვის. ეს ეხება ჩვენ ყველას, ეხება ჩვენ ყველას. ეს ეხება ჩვენ ყველას. ეს ეხება ჩვენ ყველას. ეს

მ. ს. გორბაჩოვი ვლადივოსტოკში

(დასასრული)

კითხვა: მიხეილ სერგის ძევ, როგორ მოგწონთ ჩვენი ადამიანები?

მ. ს. გორბაჩოვი: კარგად გამოიყურებიან, კარგ გუნებაზეც არიან. მართალს ამბობენ, ეს მომწონს. რაც ცუდია — ცუდია, რაც კარგია — კარგია...

ვლადივოსტოკის გარეუბნებში, ლაზურნაიას ყურის რაიონში, მ. ს. გორბაჩოვი გაჩერდა ტურისტების დიდ ჯგუფთან. ზღვისპირეთში და მათს სტუმრებს ინტერესებდათ პირველი შეხვედრა ვლადივოსტოკის გაცნობის შედეგად, მუშაობის სამრმისო გეგმები, კითხვებზე პასუხის გაცემისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა თქვა:

— პირველად ვარ შორეულ აღმოსავლეთში. აქ ლაშაზი ადგილები ყოფილა. ვფიქრობ, ეს ბუნება რომ კარგ არქიტექტორებსა და მშენებლებს მივცეთ, აქ შეიძლება შესანიშნავი საცხოვრებელი, კულტურული და სანატორიული ანსამბლების შექმნა.

ზვალ ლენინის ორდენი უნდა გადავცე ვლადივოსტოკს (**ტაში**). გამოვთქვამ ზოგიერთ მოსაზრებას იმაზე, თუ როგორ განვავითარებთ ამ რეგიონს, არა მარტო ზღვისპირეთის მხარეს და ვლადივოსტოკს, არამედ საერთოდ მთელ შორეულ აღმოსავლეთს. დადგა ამის დრო. წინათ ვმოქმედებდით სხვადასხვა მიმართულებით: ზღვისპირეთში, ხაბაროვსკში, სახალინზე, კამჩატკაზე, იაკუტსკში. ახლა ყოველივე ეს უნდა გავაერთიანოთ და გავიაზროთ, რადგან დადგა დრო აქ ყველაფერი საფუძვლიანად გაგვლოთ. ხოლო ეს რომ საფუძვლიანად იყოს, უნდა გამოვიანგარიშოთო, რა შესაძლებლობებია აქ. მეცნიერებამ იმუშავა და დიდძალ საინტერესო ინფორმაციას გვაძლევს.

მეორე მხრივ, უნდა ვნახოთ, რით დავიწყოთ. პირველ ადგილზე დგას ადამიანის ყოფის მოწესყობის საკითხი, რათა იგი აქ დამკვიდრდეს. მაშინ შესაძლებლობა მოგვეცემა განვავითაროთ სხვა დარგები. საჭიროა, რომ შორეული აღმოსავლეთი არა მარტო გვაძლევდეს ნედლეულს, არამედ აქვე გადამუშავებდეს მას მზა პროდუქციად.

ხმა: დიდი ხანია გვჭირდება ასეთი პოლიტიკა.

მ. ს. გორბაჩოვი: ახლა კი დაგისვამთ ერთ კითხვას, რომელიც ყველგან და ყოველთვის მაინტერესებს. ხომ არა გაქვთ რაიმე ექვი ჩვენი საშინაო, საგარეო პოლიტიკის თაობაზე?

ხმები: არა. და არც შეიძლება გვქონდეს. დიდ იმედებს ვიმყარებთ.

მ. ს. გორბაჩოვი: პირდაპირ გეტყვით, ვერავითარი პოლიტიკა ვერ მიაღწევს ვერავითარ შედეგს, თუ მას მხარს არ უჭერს ხალხი.. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: ყველაფერი, რაც დავსახეთ, ხალხის ინტერესებს ემსახურება. ამ მონახაზების რომელი პუნქტიც უნდა აიღოთ, იგი ორიენტირებულია ხალხის ინტერესებისათვის. მაგალითად, ჩვენი დამოკიდებულება მუქთახორების, ქურდების, მექრთამეების, ჩინოვნიკების, წუნისმკეთებლებისადმი.

ხმები: უფრო მაგრად უნდა მოვკიდოთ მათ ხელი.

მ. ს. გორბაჩოვი: ზოგ-ზოგებს ეს ხელს არ აძლევს. მაგრამ საზოგადოებას ეს სჭირდება, უნდა განვიკურნოთ ამ სენისაგან.

და კიდევ ერთი რამ, თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ დიდი ამოცანების გადაწყვეტას ვიწყებთ. გარდაქმნა მარტო უფროსობას როდი ეხება. თუ მუშა არ გარდაიქმნა ჩართთან, მშენებლობაზე, მინდორში, ფერმაში, საქმე ვერ გაკეთდება. თუ პოლიტიკა განყენებული იქნა, იგი ლოზუნგებად გადაიქცევა.

უნდა ვასრულებდეთ გეგმებს, ვახორციელებდეთ წარმოების რეკონსტრუქციას, ვაახლებ დ ე თ ფონდებს. ძნელი ამოცანები გვაქვს დასახული, მაგრამ ნუ შეკუშინდებით მათ.

სოციალიზმი ხალხის წყობილება, სახალხო წყობილებაა. მაშასადამე, ხალხი თავს უნდა გრძნობდეს ქვეყნის ბატონ-პატრონად. აი, რა არის ყველაზე მთავარი. ოღონდ ასე ნუ გამიგებთ: აი, აიღებს გორბაჩოვი გასაღებს და ყველაფერს გააღებსო, არა, მზამზარეული არაფერი არ არის. გასაღები მე და თქვენ გვაქვს. საჭიროა სწორი პოლიტიკა, და საჭიროა ხალხის აქტიურობა. საჭიროა შეგნებული, დიდი და, პირდაპირ გეტყვით, ძნელი მუშაობა.

ლამაზ ტერასებზე, უსურის ყურისაკენ რომ ეშვება, გადაფენილა შორეული აღმოსავლეთის „არტეკის“ — საკავშირო პიონერული ბანაკის „ოკეანის“ სამფლობელოები. წყნარი ოკეანის ტალღები ლოკავს ამ კლდოვან მწვანეში ჩაფლულ ნაპირებს. და ოკეანის ტალღებივით ატორტმანდა მრავალსართულიანი კორპუსის აივნები: ციმფერ პიოლტურიანი პიონერები გამოეფინნენ მ. ს. გორბაჩოვის შესახვედრად.

მ. ს. გორბაჩოვი: თქვენგან ვინ არ არის, ბავშვებო, შორეული აღმოსავლეთის მკვიდრი?

მრავალმა ბავშმა ასწია ხელი მაღლა:

— ლუბა შავროვა, — მე ჩიტელი ვარ.

— ანდრია გუსაკოვი, — მე კრასნოდარელი.

— არმენ არუთინიანი, — მე ერევნელი.

— სლავა გორშენკოვი,—მე ბელორუსიიდან ჩამოვედი.

მ. ს. გორბაჩოვი: მოგწონთ აქ? უკეთესია, ვიდრე შენს სომხეთში, არმენ? თქვენთან ხომ ახლა ცხელა — 35-მდე გრადუსია.

— აქ კარგად ვცხოვრობთ. — უპასუხეს ბავშვებმა, — მაგრამ, ... ეს ... ...